სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო

144 აკაკი წერეთლის გამზირი
0119 თბილისი, საქართველო
+995 32 251 00 11 (12-11)
regagency@moh.gov.ge

24 ოქტომბერი 2025

REG 5 25 01202180

შპს უნივერსიტეტი გეომედის ვიცე-რექტორს,
ბატონ ზურაბ ცეცხლაძეს
ელ. **ფოსტა: zurab.tsetskhladze@geomedi.edu.ge**
aleqsandre.loladze@geomedi.ge

ბატონო **ზურაბ,**

სსიპ-სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში შემოსული თქვენი წერილის (03.09.25, N 980636) პასუხად გაცნობებთ, რომ პროფესიული განვითარების საბჭოს 2025 წლის 23 ოქტომბრის N16 სხდომის გადაწყვეტილებით, აკრედიტაცია მიენიჭა შპს **უნივერსიტეტი გეომედის** მიერ წარმოდგენილ მოკლევადიან უსგ პროგრამას **„კარდიოპულმონური რეანიმაცია გადაუდებელი მდგომარეობების დროს“**- (აკრ. N 1188) და მიენიჭა I ტიპის 12 უპგ ქულა. პროგრამა განისაზღვრა სპეციალობებში: გადაუდებელი მედიცინა, ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა, ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია, კარდიოლოგია, კარდიოქირურგია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, ნევროლოგია, ჰემატოლოგია-ტრანსფუზიოლოგია, შინაგანი მედიცინა, პედიატრია, საოჯახო მედიცინა სერტიფიცირებული ექიმებისთვის.

გაცნობებთ, რომ „უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმების და მათი აკრედიტაციის წესისა და კრიტერიუმების, ასევე, პროფესიული რეაბილიტაციის წესის, შესაბამისი პროგრამების/კურსების აკრედიტაციის წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 19 ივლისის №01-3/ნ ბრძანების დანართი 1-ის, მე-6 მუხლის თანახმად, უპგ პროგრამის განმახორციელებელი ვალდებულია, კონკრეტული პროგრამის ჩატარებამდე საბჭოს სამდივნოს მიაწოდოს ინფორმაცია მოწოდებულ ფორმატში (იხ. უსგ დამსწრეთა წინასწარი სია და შევსების ინსტრუქცია).

განმახორციელებელი ასევე ვალდებულია, საბჭოს სამდივნოს მიაწოდოს ინფორმაცია აქტივობებში მონაწილე პირების თაობაზე პროგრამის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში (იხ. უსგ დამსწრეთა საბოლოო სია და შევსების ინსტრუქცია).

აღნიშნული ინფორმაციის საბჭოს სამდივნოში არწარდგენის შემთხვევაში, აქტივობის ფარგლებში მინიჭებული უპგ კრედიტ-ქულები არ ჩაითვლება.

პატივისცემით,

სააგენტოს დირექტორის მოადგილე
ლეილა ქოჩიაშვილი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად